საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროცესები და სახელმწიფოს როლი

საქართველოს ეკონომიკის განვითარება 1990-იან და 2000-იან წლებში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და ნათლად აჩვენებს სახელმწიფოს როლის ცვლილებას ეკონომიკურ პროცესებში.

1990-იანი წლები გარდამავალი და რთული პერიოდი იყო. საბჭოთა ეკონომიკური სისტემის დაშლის შემდეგ ქვეყანა გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, თუმცა ეს პროცესი მძიმე კრიზისით დაიწყო. წარმოება თითქმის შეჩერდა, გაიზარდა უმუშევრობა და ინფლაცია, შემცირდა მოსახლეობის შემოსავალი. ამ ეტაპზე ყალიბდებოდა ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო კერძო საკუთრებასა და თავისუფალ ბაზარზე. სახელმწიფოს მთავარი ამოცანა გახდა სტაბილურობის უზრუნველყოფა. შემუშავდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა, ჩამოყალიბდა საგადასახადო და საბანკო სისტემა. სახელმწიფოს ძალაუფლების ბერკეტები იყო კანონმდებლობა, ბიუჯეტი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მიუხედავად სირთულეებისა, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა საფუძველი მომავალი ეკონომიკური განვითარებისათვის.

2000-იან წლებში ეკონომიკური ვითარება შედარებით დასტაბილურდა და დაიწყო აქტიური რეფორმების ეტაპი. სახელმწიფომ გაამარტივა ბიზნესის რეგისტრაცია, შეამცირა გადასახადები და ბიუროკრატია, რაც ხელს უწყობდა კერძო სექტორის გაძლიერებას. ეკონომიკა სწრაფად გაიზარდა, განსაკუთრებით მომსახურების, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროში. ამ პერიოდში სახელმწიფოს როლი უფრო რეგულატორული და ხელშემწყობი გახდა. ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყო ინვესტიციების მოზიდვისა და კონკურენტული გარემოს შექმნისკენ. ამასთან ერთად, გაიზარდა სოციალური და კულტურული კაპიტალის მნიშვნელობა — განათლება, პროფესიული უნარები და საზოგადოებრივი ნდობა გახდა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეკონომიკური პოლიტიკა ცდილობდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას — ბიზნესის, დასაქმებულების, ახალგაზრდებისა და სოციალურად დაუცველი ფენების.

ჩემი აზრით, 1990-იან წლებში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელი იყო ეკონომიკური სისტემის გადარჩენისა და სტაბილურობისთვის, ხოლო 2000-იან წლებში საჭირო გახდა უფრო დაბალანსებული პოლიტიკა, რომელიც აერთიანებდა თავისუფალ ბაზარსა და სახელმწიფო რეგულირებას. ეკონომიკის

წარმატებული განვითარება მოითხოვს ისეთ მოდელს, სადაც სახელმწიფო ქმნის სამართლიან პირობებს, ხოლო საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი პოტენციალისა და თვით აქტუალიზაციის რეალიზაციისთვის.

ბექა ელბაქიძე